ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N03/16-02

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ერთიანი მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ

24/03/2016 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო"), წარმოდგენილი სააგენტოს **თავმჯდომარის მოადგილის შოთა ჩაჩხუნაშვილის** სახით, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში – „მონაცემთა გაცვლის სააგენტო"), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს **თავმჯდომარის ირაკლი გვენეტაძის** სახით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – „მომსახურების სააგენტო"), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის **თამაზ მოდებაძის** სახით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – „სამინისტრო"), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **ზაზა სოფრომაძის** სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 22 დეკემბრის №228 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების" მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის „ჟ" ქვეპუნქტით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ[1]" ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია, „სააგენტოს" მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ერთიანი მონაცემთა ბაზიდან (შემდგომში - რეესტრი ან მონაცემთა ბაზა) კერძო სამართლის სუბიექტებზე (მეწარმე სუბიექტები: **ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია), კოოპერატივი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ააიპ), უცხო ქვეყნის საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (მუდმივი დაწესებულება, წარმომადგენლობა)**) დაცული ინფორმაციის მიწოდება „მომსახურების სააგენტოსთვის", „სამინისტროსა" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის/ელექტრონული სისტემის (შემდგომში - ინფრასტრუქტურა) მეშვეობით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2. ამ მუხლის 1.1. პუნქტში მითითებული ინფორმაციის შინაარსი, სტრუქტურა და მისი მახასიათებლები აღწერილია ხელშეკრულების N1 დანართში.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა და ინფორმაციის მიწოდების წესი

2.1. „მომსახურების სააგენტოსთვის" ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (შემდგომში -

ინფრასტრუქტურა) მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობას და შეუფერხებლად გამოყენებას.

2.2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა;

2.3. მემორანდუმის ამოქმედებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში „სამინისტროს" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" უფლებამოსილი წარმომადგენლები უკავშირდებიან ერთმანეთს, რის შემდეგაც, მხარეები ერთობლივად, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

მუხლი 3. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

მუხლი 4. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვა

4.1. „სააგენტოსა" და „მომსახურების სააგენტოს" ინფორმირების მიზნით, „მონაცემთა გაცვლის სააგენტო" აღრიცხავს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით ინფორმაციის გამოთხოვის საერთო სტატისტიკას, ასევე, თითოეული მოთხოვნის შემოსვლის და შესაბამისი პასუხის გაგზავნის დროს.

4.2. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო", საკუთარი ინფრასტრუქტურის მეშვეობით, ყოველ წარმატებულად განხორციელებულ გზავნილს (გზავნილი, რომელიც უშეცდომოდ დამუშავდა „სააგენტოსა" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" მიერ) ანიჭებს უნიკალურ იდენტიფიკატორს, რომლის მეშვეობითაც ხდება თითოეული მოთხოვნა-პასუხის იდენტიფიკაცია.

4.3. ელექტრონული შეტყობინება გაგზავნილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც იგი გადის გამგზავნის კონტროლის არედან. კონტროლის არედან გასვლაში იგულისხმება ელექტრონული შეტყობინების უკან დაბრუნების, მასში ცვლილების შეტანის ან გაუქმების შეუძლებლობა.

4.4. „მომსახურების სააგენტოს" მიერ „რეესტრიდან" ინფორმაცია გამოთხოვილად ითვლება, თუ „სააგენტოს" მიერ აღრიცხულ იქნა „მომსახურების სააგენტოსთვის" ინფორმაციის გაგზავნის ფაქტი.

4.5. მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნისას, „სააგენტო" იღებს ვალდებულებას, მოახდინოს მოთხოვნილი ინფორმაციის მიღების ფაქტის ელექტრონული დადასტურება. გამოთხოვნილი ინფორმაციისა და მისი მიღების შესახებ შეტყობინების შინაარსი, სტრუქტურა და გაგზავნის წესი განისაზღვრება ხელშეკრულების N1 დანართით.

4.6. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო" უზრუნველყოფს განხორციელებული ტრანზაქციების აღიცხვას და მოთხოვნის შემთხვევაში, „სააგენტოსა" და „მომსახურების სააგენტოსთვის" მიწოდებას, მათთან შეთანხმებული ფორმითა და პირობებით.

4.7. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო" ვალდებულია, „სააგენტოს" ან/და „მომსახურების სააგენტოს" ელექტრონული ან/და წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს ამ მუხლის 4.6. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემები, მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

მუხლი 5. ელექტრონული შეტყობინების იურიდიული ძალა

მხარეები ადასტურებენ, რომ მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის საშუალებებით მიღებულ ელექტრონულ შეტყობინებებს (კერძოდ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების სამართლებრივი ფორმისა და მათი რეგისტრაციის შესახებ რეესტრში დაცული ინფორმაციის შესახებ ელექტრონული შეტყობინებები) აქვთ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი

ფორმით წარდგენილს (დადასტურებული პირადი ხელმოწერით, და/ან ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი).

მუხლი 6. მხარეთა ზოგადი სახელშეკრულებო ვალდებულებები

6.1. მხარეები ვალდებულნი არიან, ხელშეკრულების პირობები შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად, თანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ითანამშრომლონ ერთმანეთთან, კონსულტაციებისა და ურთიერთდახმარების სხვა მეთოდებით.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

7.1. „სააგენტო“ ვალდებულია:

ა) „მომსახურების სააგენტოს“ მიერ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, ინფორმაციის გამოთხოვისთანავე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, უზრუნველყოს „რეესტრში“ არსებული ინფორმაციის მიწოდება „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის“ ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და N1 დანართის შესაბამისად. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“, თავის მხრივ, უზრუნველყოფს „სააგენტოს“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადაგზავნას „მომსახურების სააგენტოსთვის“ „სამინისტროს“ ინფრასტუქტურის მეშვეობით.

ბ) უზრუნველყოს „მომსახურების სააგენტოსთვის“ მიწოდებულ და „რეესტრში“ დაცულ ინფორმაციას შორის ურთიერთშესაბამისობა;

გ) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

დ) ამ ხელშეკრულების ამოქმედებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, გადასცეს „დადგენილ „მომსახურების სააგენტოს“ აუთენტიფიკაციისათვის საჭირო ელექტრონული სერთიფიკატი;

ე) საკუთარი **ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების ან მისი ტექნიკური ცვლილების თაობაზე** აცნობოს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“, „სამინისტროს“ და „მომსახურების სააგენტოს“, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

ვ) სისტემაში **ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში,** დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით) „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“, „სამინისტროს“ და „მომსახურების სააგენტოს“ აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება.

7.2. „სააგენტო“ უფლებამოსილია:

ა) „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ საშუალებით, განახორციელოს, „მომსახურების სააგენტოსთვის“ ინფორმაციის მიწოდების მონიტორინგი და შეამოწმოს განხორციელებული ტრანზაქციების აღრიცხვიანობა;

ბ) „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსგან“ მიიღოს ინფორმაცია, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, შეფერხებამდე/ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

7.3. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ვალდებულია:

ა) „რეესტრიდან“ ინფორმაციის გამოთხოვისას, სუბიექტზე/ობიექტზე არსებული ინფორმაციის „მომსახურების სააგენტოსთვის“ მიწოდების მიზნით, უზრუნველყოს მხარეთა მიერ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურით სარგებლობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;

ბ) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

გ) კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოს „მომსახურების სააგენტოსთვის“ მიწოდებულ და „რეესტრის“ ინფორმაციას შორის ურთიერთშესაბამისობა;

დ) უზრუნველყოს საკუთარი ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის აუცილებელი ინფორმაციული მხარდაჭერა;

ე) უზრუნველყოს „სააგენტოს" დროული ინფორმირება „მომსახურების სააგენტოს" მოთხოვნის თაობაზე და შესაბამისი პასუხის მყისიერე (დროის რეალურ რეჟიმში) მიწოდება;

ვ) მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილებების თაობაზე აცნობოს „სააგენტოს", „სამინისტროს" და „მომსახურების სააგენტოს", შეფერხებამდე/ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

ზ) სისტემაში ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით, ელექტრონული ფოსტით) „სააგენტოს", „სამინისტროს" და „მომსახურების სააგენტოს" აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება;

თ) არ დაუშვას „რეესტრზე" მესამე პირთა დაშვება (წვდომა) ან/და „რეესტრიდან" მიღებული ინფორმაციის დამუშავება/სისტემატიზაცია მესამე პირებისთვის გადაცემის მიზნით (როგორც ხელშეკრულების მოქმედების, ისე, მისი ვადის გასვლის შემდგომ), გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა, უზრუნველყოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება;

ი) „სააგენტოს" და „მომსახურების სააგენტოსა" ელექტრონული ან/და წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მხარე(ებ)ს ამ ხელშკრულების 4.6. პუნქტის აღრიცხული მონაცემები, მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

7.4. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო" უფლებამოსილია, მხარეებისაგან მიიღოს ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების შეფერხების ან ტექნიკური ცვლილების შესახებ.

7.5. „მომსახურების სააგენტო" ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

ბ) არ დაუშვას ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით „სააგენტოსგან" მიღებული ინფორმაციის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი დასრულების შემდგომ;

გ) უზრუნველყოს „სააგენტოს" მონაცემთა ელექტრონული გაზიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად.

დ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები გამოთხოვილი მონაცემების შემთხვევითი თუ არასანქცირებული გამჟღავნების, შემთხვევითი დაკარგვის, ასევე, მათთან არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი კანონიერ მიზნებთან შეუსაბამო გამოყენება;

ე) უზრუნველყოს მიღებული მონაცემების დაცვა იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ კანონიერი მიზნებისათვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები;

ვ) აღკვეთოს „სააგენტოს" მონაცემთა ბაზიდან (ინფრასტრუქტურის მეშვეობით) მიღებული ინფორმაციის დუბლირებული ბაზის შექმნა;

ზ) „სააგენტოს" მონაცემთა ბაზიდან მიღებულ ინფორმაციაზე წვდომისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით, ინფორმაციის გამოყენების უფლებამოსილება მიანიჭოს „მომსახურების სააგენტოს" თანამშრომლებს. „მომსახურების სააგენტოს" მხრიდან არაავტორიზებულ ან არასანქცირებულ წვდომაზე, ასევე, ასეთი წვდომის შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება „მომსახურების სააგენტოს" კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

7.6. „მომსახურების სააგენტო" უფლებამოსილია:

ა) „სააგენტოს“ მოსთხოვოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება (N1 დანართის შესაბამისად), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) “მონაცემთა გაცვლის სააგენტოს” მოსთხოვოს ამ ხელშკრულების 4.6. პუნქტით აღრიცხული მონაცემები და მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;

გ) მონაცემთა სუბიექტის/ობიექტის შესახებ გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან ამგვარი სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუკავშირდეს სააგენტოს უფლებამოსილ პირს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ფარგლებში.

დ) „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსგან“ მიიღოს ინფორმაცია, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, შეფერხებამდე/ ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

7.7. სამინისტრო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ამ ხელშკრულების მოქმედების პერიოდში საკუთარი ინფრასტრუქტურით მხარეთა სარგებლობისათვის საჭირო ზომები, ამ ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებელი გამოყენება;

ბ) არ დაუშვას „სააგენტოსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), კოპირება/შენახვა, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

გ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები გამოთხოვილი მონაცემების შემთხვევითი თუ არასანქცირებული გამჟღავნების, შემთხვევითი დაკარგვის, ასევე, მათთან არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი კანონიერ მიზნებთან შეუსაბამო გამოყენება;

დ) უზრუნველყოს მიღებული მონაცემების დაცვა იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ კანონიერი მიზნებისათვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები;

ე) აღკვეთოს სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან (ინფრასტრუქტურის მეშვეობით) მიღებული ინფორმაციის დუბლირებული ბაზის შექმნა;

ვ) ,,სააგენტოს“ მონაცემთა ბაზიდან მიღებულ ინფორმაციაზე წვდომისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით, ინფორმაციის გამოყენების უფლებამოსილება მიანიჭოს „სამინისტროს“ იმ თანამშრომლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ,,სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ ინფორმაციის მიწოდების ტექნიკურ მხარდაჭერას. „სამინისტროს“ მხრიდან არაავტორიზებულ ან არასანქცირებულ წვდომაზე, ასევე, ასეთი წვდომის შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება „სამინისტროს“ კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

7.8. სამინისტრო უფლებამოსილია „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსგან“ მიიღოს ინფორმაცია, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, შეფერხებამდე/ ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით.

8.2. მხარეები იხსნიან პასუხისმგებლობას ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე.

8.3. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი მომსახურების იმგვარ შეფერხებაზე, რომელიც გამოწვეულია სამინისტროს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და/ან მომსახურების სააგენტოს ტექნიკისა თუ ქსელის გაუმართაობის საფუძვლით.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებები ხელშეკრულებაში

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.2. თუ ამ მუხლის 9.1. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ამ ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულად ითვლება მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით; ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

მუხლი 10. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

10.2. ამ ხელშეკრულების N1 დანართი, ასევე, მომავალში ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად განსაზღვრული დანართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957

ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

თამაზ მოდებაძე
დირექტორის მოადგილე

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის №2;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204577699,

შოთა ჩაჩხუნაშვილი
თავმჯდომარის მოადგილე

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის N2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204577699

ირაკლი გვენეტაძე
თავმჯდომარე

დანართი N1

იურიდიული პირების ძებნის ვებ სერვისის აღწერა

სერვისის ფუნქციების აღწერა

1. GetSubjectInfo:

აბრუნებს ინფორმაციას სუბიექტის შესახებ

შენიშვნა 1: ფილიალის საიდენტიფიქაციო კოდზე დავაბრუნებთ ამ ფილიალისთვის ძირითად სუბიექტის ამონაწერს.

IN:

- IdNumber - სუბიექტის საიდენტიფიკაციო კოდი ან პირადი ნომერი
- ClientRequestId - კლიენტის მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- DeaRequestId - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს (Dea) მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.

OUT:

- ResponseStatusId – პასუხის სტატუსის კოდი(მოიძებნა, არ მოიძებნა, საიდენტიფიკაციო კოდი გაუქმებულია(ფილიალის შემთხვევა)) 0–არ მოიძებნა 1–მოიძებნა
- ResponseStatus – პასუხის სტატუსის ტექსტური აღწერა
- Request - ნომერი რომელზეც მოვიდა მოთხოვნა (IN პარამეტრი)
- RequstDateTime – შეტყობინების თარიღი და დრო
- ResponseID - პასუხის უნიკალური ნომერი
- Subject - სუბიექტი
  - IdNumber – სუბიექტის საიდენტიფიკაციო ნომერი
  - PersonalNumber – პირადი ნომერი
  - StateRegNumber – სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი
  - Name – სუბიექტის დასახელება
  - Address –იურიდიული მისამართი სიტყვიერად
  - AddressRekv – იურიდიული მისამართის ქუჩის ან ბინის ნომერი
  - AddressCode – იურიდიული მისამართი კოდიფიცირებული
  - MailAddress – ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად
  - MailAddressRekv – ფაქტობრივი ქუჩის ან ბინის ნომერი
  - MailAddressCode – ფაქტობრივი მისამართი კოდიფიცირებული
  - Zip – საფოსტო ინდექსი
  - RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო
  - RegistrationMunicipalityID – მარეგისტრირებელი ორგანოს ID
  - LegalFormId – სამართლებრივი ფორმის იდენტიფიკატორი (იხილეთ ცნობარებში)
  - LegalForm – სამართლებრივი ფორმა სიტყვიერად
  - GovRegDate – სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი
  - LastChangeDate- ბოლო ცვლილების თარიღი, ჩვენი საიტზე ასახვის თარიღი
  - Comments – კომენტარები
  - TaxAuthority – საგადასახადო ორგანო
  - TaxAuthorityId - რიცხვითი იდენტიფიკატორი
  - TaxAuthorityCode - საგადასახადო ორგანოს საგადასახადო კოდი(3 ნიშნა)
  - SystemCode - სუბიექტის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი

- IndEntrepreneurPerson - ეს სექცია ივსება ინდ მეწარმის შემთხვევაში და აქ იწერება შესაბამისი რეზიდენტ/არარეზიდენტ ფიზიკური პირის რეკვიზიტები
  - PersonId - პირის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
  - EntityType – პირის სახეობა (ფიზიკური საქართველოს მოქალაქე, უცხოური ფიზიკური პირი)(იხ. ცნობარებში)
  - IdNumber – პირადი ნომერი
  - CardTypeID - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობა - ფიზიკური პირის შემთხვევაში
  - CardNumber - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი - ფიზიკური პირის შემთხვევაში
  - FirstName - სახელი
  - LastName - გვარი
  - BirtDate - დაბადების თარიღი
  - DeathDate - გარდაცვალების თარიღი
  - Comments - კომენტარები
  - Address - ჩაწერის მისამართი
  - Country - მოქალაქეობა
  - CountryID - ზემოთ აღწერილი ქვეყნის ინდექსი
  - RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო
- DirectorsAndRepresentorsList – დირექტორების სია
  - DirectorOrRepresentor
    - PersonId - პირის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
    - EntityType – პირის სახეობა (ფიზიკური საქართველოს მოქალაქე, უცხოური ფიზიკური პირი)(იხ. ცნობარებში)
    - PersonType – წარმომადგენელია თუ დირექტორია
    - PersonTypeId - რიცხვითი იდენტიფიკატორი(წარმომადგენელია თუ დირექტორია)
    - RepresentRights - ერთობლივად/ ერთპიროვნულად/ წესდებით გათვალისწინებით
    - RepresentRightsId – ერთობლივად/ ერთპიროვნულად/ წესდებით გათვალისწინებით რიცხვითი იდენტიფიკატორი
    - IdNumber – პირადი ნომერი
    - CardTypeID - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობა - ფიზიკური პირის შემთხვევაში
    - CardNumber - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი - ფიზიკური პირის შემთხვევაში
    - FirstName - სახელი
    - LastName - გვარი
    - BirtDate - დაბადების თარიღი
    - DeathDate - გარდაცვალების თარიღი
    - Comments - კომენტარები
    - Address - იურიდიული მისამართი
    - MailAddress – ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად
    - Country - მოქალაქეობა
    - CountryID - ზემოთ აღწერილი ქვეყნის ინდექსი
    - RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო
  - ProcuristList – პროკურისტების სია
    - Procurist
      - PersonId - პირის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
      - EntityType – პირის სახეობა (ფიზიკური საქართველოს მოქალაქე, იურიდიული საქართველოს რეზიდენტი, უცხოური ფიზიკური პირი, უცხოური იურ. პირი)(იხ. ცნობარებში)
      - IdNumber – საიდენტიფიკაციო კოდი
      - PersonalNumber - პირადი ნომერი
      - Name – დასახელება -ივსება იურიდიული პირის შემთხვევაში
      - LegalForm - სამართლებრივი ფორმა

- Address - იურიდიული მისამართი
- MailAddress – ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად
- Country - მოქალაქეობა ან რეგისტრაციის ქვეყანა
- CountryID - ზემოთ აღწერილი ქვეყნის ინდექსი
- RegDate - იურიდიული პირის რეგისტრაციის თარიღი
- Comments - კომენტარები
- CardTypeID - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობა - ფიზიკური პირის შემთხვევაში
- CardNumber - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი - ფიზიკური პირის შემთხვევაში
- FirstName - სახელი
- LastName - გვარი
- BirtDate - დაბადების თარიღი
- DeathDate - გარდაცვალების თარიღი
- RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო
- PersonType - უფლებამოსილების ტიპი
- PersonTypeId - უფლებამოსილების ტიპის რიცხვითი იდენტიფიკატორი

- FounderList - დამფუძნებლების სია სადაც არ ხდება წილების გადანაწილება. ანუ ეს სექცია არ შეივსება შპს-ს შემთხვევაში რადგან იქ დამფუძნებლებს აქვს წილები და შესაბამისი ინფორმაცია შეივსება AccountList -ში
  - Founder
    - PersonId - პირის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
    - EntityType – პირის სახეობა (ფიზიკური საქართველოს მოქალაქე, იურიდიული საქართველოს რეზიდენტი, უცხოური ფიზიკური პირი, უცხოური იურ. პირი)(იხ. ცნობარებში)
    - FounderType – „კომანდიტი“/“კომპლემენტარი“ / “[ცარიელი]“
    - FounderTypeId - რიცხვითი იდენტიფიკატორი
    - IdNumber – საიდენტიფიკაციო კოდი
    - PersonalNumber - პირადი ნომერი
    - Name – დასახელება -ივსება იურიდიული პირის შემთხვევაში
    - LegalForm - სამართლებრივი ფორმა
    - Address -იურიდიული მისამართი
    - MailAddress – ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად
    - Country - მოქალაქეობა ან რეგისტრაციის ქვეყანა
    - CountryID - ზემოთ აღწერილი ქვეყნის ინდექსი
    - RegDate - იურიდიული პირის რეგისტრაციის თარიღი
    - Comments - კომენტარები
    - CardTypeID - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობა - ფიზიკური პირის შემთხვევაში
    - CardNumber - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი - ფიზიკური პირის შემთხვევაში
    - FirstName - სახელი
    - LastName - გვარი
    - BirtDate - დაბადების თარიღი
    - DeathDate - გარდაცვალების თარიღი
    - RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო
  - AccountList – საწარმოს პარტნიორების სია თავისი პროცენტული წილებით
    - Account
      - AccountNumber – ანგარიშის ნომერი. (წილი დევს ანგარიშზე. ანგარიშს აქვს ერთი ან რამდენიმე მფლობელი. ყველა შპს-ს აქვს საემისიო ანგარიში რომელიც მთავრდება 00000-ზე, და იქ მოთავსებულია გაუნაწილებელი წილი, ასეთი არსებობის შემთხვევაში. ანუ თუ ამ ანგარიშზე რაოდენობა ნულზე მეტი მაშინ ამ საწარმოს აქვს რეგისტრაციის ხარვეზი და საჯარო რეესტრიდან ის ამონაწერს ვერ მიიღებს)
      - ShareQty – წილი პროცენტებში 0-დან 100-მდე წილადი რიცხვი

- Owners
- Owner
- PersonId - პირის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
- EntityType – პირის სახეობა (ფიზიკური საქართველოს მოქალაქე, იურიდიული საქართველოს რეზიდენტი, უცხოური ფიზიკური პირი, უცხოური იურ. პირი)(იხ. ცნობარებში)
- IdNumber – საიდენტიფიკაციო კოდი
- PersonalNumber - პირადი ნომერი
- Name – დასახელება -ივსება იურიდიული პირის შემთხვევაში
- LegalForm - სამართლებრივი ფორმა
- Address - იურიდიული მისამართი
- MailAddress – ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად
- Country - მოქალაქეობა ან რეგისტრაციის ქვეყანა
- CountryID - ზემოთ აღწერილი ქვეყნის ინდექსი
- RegDate - იურიდიული პირის რეგისტრაციის თარიღი
- Comments - კომენტარები
- CardTypeID - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობა - ფიზიკური პირის შემთხვევაში
- CardNumber - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი - ფიზიკური პირის შემთხვევაში
- FirstName - სახელი
- LastName - გვარი
- BirtDate - დაბადების თარიღი
- DeathDate - გარდაცვალების თარიღი
- RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო

- ActivityList
  - Activity
    - NaceCode – საქმიანობის საერთაშორისო კოდი
    - ActivityName – საქმიანობის დასახელება
    - IsMainActivity – არის თუ არა ძირითადი საქმიანობა
    - PartitionCode – საქმიანობის ჯგუფი
- Contacts - საკონტაქტო ინფორმაცია
  - Contact
    - ContactType - კონტაქტის სახეობა (ელ. ფოსტა, ტელეფონი, ფაქსი და ა. შ.)
    - ContactValue - უშუალოდ კონტაქტი
    - ContactTypeId - კონტაქტის სახეობის რიცხვითი იდენტიფიკატორი
- ReorganizationHistory - ინფორმაცია წინა რეორგანიზაციის შესახებ ასეთი არსებობის შემთხვევაში. თუ ამ სიაში ერთი საიდენტიფიკაციო ნომერი ე. ი. ორგანიზაცია შეიქმნა გამოყოფის შედეგად, თუ კი რამოდენიმეა მაშინ ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაცია შეიქმნა გაერთიანების საფუძველზე.
  - Comments - კომენტარები
  - Date - რეორგანიზაციის თარიღი
  - OldIDNumberList - ძველი საიდენტიფიკაციო ნომრები
    - PersonalNumber - პირადი ნომერი
    - IdentificationNumber -საიდენტიფიკაციო კოდი
- StatusHistory - სუბიექტის სტატუსების ისტორია (ლიკვიდაციის ისტორია)
  - StatusRecord
    - StatusId – სტატუსის იდენტიფიკატორი (იხ. ცნობარებში)
    - Status – string (რეგისტრირებულია, ლიკვიდირებულია, ლიკვიდაცია დაწყებულია,)
    - Date – სტატუსის თარიღი

ცნობარები

<u>სამართლებრივი ფორმები:</u>

1 ინდ. მეწარმე

2 სპს

3 კოოპერატივი

4 შპს

5 სააქციო საზოგადოება

6 კომანდიტური საზოგადოება

7 არასამეწარმეო იურ. პირი

26 უცხოური საწარმოს ფილიალი

27 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი

<u>სტატუსები:</u>

1 რეგისტრირებულია

2 "ლიკვიდაცია დაწყებულია"

3 "ლიკვიდირებულია"

5 "საიდენტიფიკაციო კოდი ანულირებულია" იგულისხმება ძველი სამართლებრივი ფორმების საიდენტიფიკაციო კოდების ძალადაკარგულობა. ასეთ კოდებზე აღარ გაიცემა ამონაწერი. (ფილიალების შემთხვევა)

<u>პირის სახეობები:</u>

4 უცხოური ორგანიზაცია

1 საქართველოს მოქალაქე

3 უცხოელი ფიზიკური პირი

2 ქართული ორგანიზაცია

GetAddressInfo

მისამართის სტრუტურის ერთეულის გაშიფრვა

IN:

Code	მისამართის ერთეულის კოდი

OUT:

Code	მისამართის ერთეულის კოდი
Description	მისამართის აღწერა
LocationType	ტიპი
ParentID	მშობელი ობიექტის ID